სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-15

გორი 23 03 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის, 28[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და იურისტის (22.03.2018. N322451) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის #52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") წესდების საფუძველზე და განსაზღვრავს უნივერსიტეტის პროფესორთა ატესტაციის ჩატარების წესს, ატესტაციის პროცედურულ საკითხებსა და საატესტაციო კომისიის მუშაობის წესს.

2. ატესტაციის მიზანია პროფესორის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. ატესტაციის ჩატარების შედეგად:

ა) საატესტაციო კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნარჩუნდება შრომითი ურთიერთობა;

ბ) საატესტაციო კომისიის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უწყდება შრომითი ურთიერთობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ატესტაციის ჩატარების წესი

1. უნივერსიტეტის წესდების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროფესორის თანამდებობაზე არჩეული პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაცია უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. ატესტაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა წრეს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. პროფესორს ატესტაცია გავლილად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის ჩატარებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყოველწლიურად შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

4. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

5. თუ პროფესორის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეფასებულ იქნა არადამაკმაყოფილებლად, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის ჩატარებამდე ბოლო 5 წლის პროფესორის საქმიანობა მოიცავს განსაკუთრებულ პროფესიულ ან/და სამეცნიერო მიღწევებს. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შესამისი დოკუმენტაციით.

მუხლი 3. საკონკურსო-საატესტაციო კომისია

1. ატესტაციას ახორციელებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ატესტაციის ჩატარების წინ, რექტორის წარდგინებით აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და სხვა წევრები.

3. დაუშვებელია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი იყოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირი.

4. საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

6. კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე წესითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

7. ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება (დასკვნა):

ა) პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

8. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

9. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ.

10. კომისიის დასკვნა, მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა უნდა გამოქვეყნდეს კომისიის მუშაობის ადგილზე და უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

11. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ, კომისიის დასკვნის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა შეიძლება წარდგენილი იქნეს საპრეტენზიო განაცხადი, რომელიც განიხილება იმავე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ, საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა და საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაცია (სააატესტაციო მასალებთან ერთად, რომელსაც მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს უნივერსიტეტის კანცელარია) წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

12. პროფესორის ატესტაციის შედეგების შესახებ რექტორის ბრძანება, მისი გამოცემიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

13. ატესტაციის შედეგების შესახებ სამართლებრივი აქტი და თითოეული პირის შესახებ დასკვნა უნდა მოთავსდეს დასაქმებულის პირად საქმეში.

14. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში.